ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N106

თბილისი **24 ივნისი, 2022 წელი**

ერთის მხრივ - **ა(ა)იპ - ქალაქ თბილისის გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრი** (შემდგომში - შემსყიდველი), დირექტორის მოადგილის **ლევან ტალახაძის** სახით და მეორეს მხრივ - **ინდივიდუალური მეწარმე - ზებიკო ქუმარიტოვი** (შემდგომში - მიმწოდებელი), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის გათვალისწინებით, გათვალისწინებით, 2022 წლის საკუთარი შემოსავლების სახსრებით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, მონეტარულ ზღვრებში, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - ხელშეკრულება) "შემსყიდველსა" და "მიმწოდებელს" შორის დადებული ეს ხელშეკრულება, ელექტრონულად ხელმოწერილი მხარეთა მიერ, თანდართული დოკუმენტაციით.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს "შემსყიდველმა" "მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3. „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4. „შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5. „მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6. „შესყიდვის ობიექტი" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების ობიექტი.

2. ხელშეკრულების საგანი, შესყიდვის ობიექტი

2.1. ხელშეკრულების საგანია ცხრილში ჩამოთვლილი საქონლის სახელმწიფო შესყიდვა (შემდგომში - საქონელი):

N	შესყიდვის ობიექტის დასახელება	რაოდენობა ცალი, კგ	ერთეულის ფასი - ლარი	ჯამური ფასი - ლარი	CPV - კოდი
1	დროსელი	1	28	28	44423340 - ლითონის გვარლი
2	ხამუთი პლასტმასის 4,8/300	2	8	16	44167300 - მუხლები, სამკაპები
3	ამომრთველი	1	10	10	31681410 - ელექტრომასალები
4	ბურღი	1	0.7	0.7	44512920 - სახრახნისის პირები
5	ნიჩაბი	2	18	36	44511110 - ნიჩბები
6	ქაფჩა	1	6	6	44511000 - ხელის ხელსაწყოები
7	ჩაქუჩი	1	9	9	44512300 - ჩაქუჩები
8	ანჯამა	1	4.5	4.5	44523100 - ანჯამები
9	ბადე	1	12	12	39541200 - ქსოვილის ბადეები
10	შპატელი	2	2.5	5	44511000 - ხელის ხელსაწყოები
11	პაკლი	1	4	4	31651000 - საიზოლაციო ლენტი
12	შპინგალეტი	1	5	5	44511000 - ხელის ხელსაწყოები
13	ცოცხი	1	8	8	
14	შურუპი	1.572	14	22.008	44512800 - სახრახნისები
15	ჭანჭიკი	0.9231	13	12.0003	44531400 - ჭანჭიკები
16	სილიკონიანი საღებავი 22კგ	1	130	130	44810000 - საღებავები
17	თხევადი ანკერი	1	24	24	44512800 - სახრახნისები
18	ხელთათმანი	3	2	6	18141000 - სამუშაო ხელთათმანები
19	საკეტი კარის	1	25	25	44521110 - კარის საკეტები
20	ბეტონის სამტვრევი	1	9	9	44512300 - ჩაქუჩები
21	რკინის ქვა	3	2	6	44511510 - ხელის ხერხის პირები
22	საიზოლაციო ლენტი	4	2.5	10	31651000 - საიზოლაციო ლენტი
23	მილი 3/4	1	4.5	4.5	44163100 - მილები
24	მუხლი 3/4	5	0.8	4	44167300 - მუხლები, სამკაპები
25	მუფტა 3/4	3	0.8	2.4	
26	სასწორი	1	38	38	42923200 - სასწორები
27	ნათურა	1	3	3	31531000 - ნათურები
28	ყურმილი დუშის	9	10	90	42132200 - ონკანის ნაწილები
29	შურუპი	1	20	20	44512800 - სახრახნისები
30	ქვიშა	80	2	160	14211000 - ქვიშა
31	შავი შურუპი	200	0.03	6	44512800 - სახრახნისები
32	დაისონი გერმეტიკი	4	14.5	58	24910000 - წებოები
33	გარე მონტაჟის კოლოფი	1	3.5	3.5	31681410 - ელექტრომასალები
34	როზეტი დამიწებით	3	3	9	
35	ქაღალდის სკოჩი	1	6	6	44424200 - წებოვანი ლენტები

36	საკანცელარიო დანა	1	4	4	39241100 - დანები
37	დანის პირები	1	3	3	
38	წებო მომენტი	1	3	3	24910000 - წებოები
39	კაბელი 2/1,5	15	2	30	31321220 - საშუალო ძაბვის კაბელი
40	კაბელარხი	2	3	6	31681410 - ელექტრომასალები
41	ამერიკანკა 40 მმ	3	35	105	44167300 - მუხლები, სამკაპები
42	ჭურო 40 მმ	1	2	2	
43	მილი 40 მმ	1	12	12	44163100 - მილები
44	ქვა 125 მმ	2	2	4	44511510 - ხელის ხერხის პირები
45	ამერიკანკა 32 მმ	2	18	36	44167300 - მუხლები, სამკაპები
46	მუხლი 40 მმ	2	2.8	5.6	
47	გადამყვანი 32/40	2	1	2	
48	მუხლი 32 მმ	2	1.7	3.4	
49	ელემენტი	4	0.6	2.4	31440000 - ელემენტები
50	მილი 32 მმ	1	7.5	7.5	44163100 - მილები
51	გაზის ბალონი	1	6	6	44612200 - გაზის ავზები
52	ინტერნეტის ჯეკი	10	0.3	3	32421000 - ქსელის კაბელები
53	ინტერნეტის კაბელი	20	1.7	34	
54	ყურმილი დუშის	4	12	48	42132200 - ონკანის ნაწილები
55	სამაგრი დუშის	10	3	30	
56	დუშის შლანგი	6	13	78	44165100 - შლანგები
57	დანა ალუმინის	1	5	5	39241100 - დანები
58	სახრახნისი	1	6	6	44512800 - სახრახნისები
			სულ, თანხა	*1 228,50*	

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა **1 228,50** (ერთიათას ორას ოცდა რვა ლარი, 50 თეთრი) **ლარი.**
3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს შესყიდვის ობიექტის შესყიდვასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა სახის გადასახადსა და მოსაკრებელს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები, ვადა და ადგილი

4.1. "მიმწოდებელი" უზრუნველყოფს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) კალენდარული დღის ვადაში.
4.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაში არ ჩაითვლება დროის ის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც ის შეჩერებულია "შემსყიდველის" მიზეზით.
4.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია "მიმწოდებლის" ადგილსამყოფელი.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტი მიწოდებულად ჩაითვლება მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
5.2. მიღება-ჩაბარების აქტში ნაჩვენები უნდა იქნას მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულება.
5.3. "მიმწოდებელი" ვალდებულია "შემსყიდველის" მხრიდან მოთხოვნილი უნაკლო შესყიდვის ობიექტის მიწოდების დადასტურებისა და ანაზღაურების მიღების მიზნით "შემსყიდველს" შესყიდვის ობიექტთან ერთად წარმოუდგინოს შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაცია.
5.4. "შემსყიდველის" მხრიდან, მიმწოდებლის შერჩევაზე, ხელშეკრულების ინსპექტირებაზე და საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირია შემსყიდველის დირექტორის მოადგილე **ლევან ტალახაძე**, რომელიც არ იმყოფება "მიმწოდებელთან" ინტერესთა კონფლიქტში.

6. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში, მხარეების მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.
6.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება წარმოებს ფაქტობრივად მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შესაბამისად, მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მისი გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. **”შემსყიდველი” უფლებამოსილია:**
ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს ”მიმწოდებლის” მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
ბ) შესყიდვის ობიექტის მიწოდების დარსულებამდე გამოითხოვოს ”მიმწოდებლისგან” მისთვის საჭირო დოკუმენტი.
7.2. **”შემსყიდველი” ვალდებულია:**
ა) უზრუნველყოს ”მიმწოდებლის” შესყიდვის ობიექტის მიწოდების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
ბ) უზრუნველყოს წარმომადგენლის გამოყოფა, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს პროცესს და საჭიროების შემთხვევაში, ”მიმწოდებელს” გაუწევს შესაბამის კონსულტაციას.
7.3. **”მიმწოდებელი” უფლებამოსილია:**
ა) მოსთხოვოს ”შემსყიდველს” მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
7.4. **”მიმწოდებელი” ვალდებულია:**
ა) შესყიდვის ობიექტი მიაწოდოს სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით ზემოთაღნიშნული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;
ბ) დროულად განიხილოს წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
7.5. თითოეული მხარე ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1 **„შემსყიდველი“ უფლებამოსილია:**
ა) სასაქონლო ზედნადების გაფორმებამდე შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისქინებულ პირობებთან.

8.2 **„შემსყიდველი“ ვალდებულია:**
ა) მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
ბ) უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.
8.3. **„მიმწოდებელი“ უფლებამოსილია:**
ა) მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულების პირობებით.
8.4. **„მიმწოდებელი“ ვალდებულია:**
ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების 0,02%-ის ოდენობით.
9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, ”შემსყიდველი” იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს ”მიმწოდებელს” ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
9.4. პირგასამტეხლოს გამოთვლისას არ გამოიანგარიშება ინსპექტირებისთვის გახარჯული დრო.
9.5. გამოვლენილი დეფექტის აღმოფხვრასთან დაკავშირებით ინსპექტირების ჯგუფის მიერ განსაზღვრულ და ,,შემსყიდველთან'' შეთანხმებულ ვადაზე არ ვრცელდება საჯარიმო სანქციები.

10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები ”შემსყიდველისთვის”, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
10.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
10.4. მხარე ვალდებულია 10.3. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

10.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარე წააწყდება რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობისა და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ 5 (ხუთი) დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს ეს გადაწყვეტილება.
11.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორს-მაჟორის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
12.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორს-მაჟორული მდგომარეობის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;
12.3. მხარეთა პასუხისმგებლობა განახლდება ფორს-მაჟორული მდგომარეობის მოქმედების დასრულებისთანავე.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა უთანხმოება და დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია ორმხრივ ელექტრონულად ხელმოწერიდან და მოქმედებს **2022 წლის 15 აგვისტოს ჩათვლით.**

5. შესყიდვის ობიექტის სტანდარტები

ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული საქონლისა და მომსახურების სპეციფიკაციები უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ სტანდარტებსა და ტექნიკურ ნორმებს.

16. სხვა პირობები

ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის, ფორმდება ქართულ ენაზე, ორმხრივად ელექტრონულად ხელმოწერილი სახით.

მხარეთა იურიდიული რეკვიზიტები

"შემსყიდველი"

ა(ა)იპ - ქალაქ თბილისის გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრი
თბილისი, გლდანის Vმ/რ, ილია ვეკუას ქუჩა N127
ს/ნ 400085572
სახელმწიფო ხაზინა, კოდი - TRESGE22
ანგ. N 7 4178 7499

"მიმწოდებელი"

ინდ. მეწარმე - ზებიკო ქუმარიტოვი
თბილისი, ხიზანიშვილის ქ.N77-ის მიმდ.
ს/ნ 45001002060
ს/ს „თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი - TBCBGE22
ა/ა N GE18TB7626236010100032

დირექტორის მოადგილე ლევან ტალახაძე

ინდ. მეწარმე - ზეზიკო ქუმარიტოვი

Levan Talakhadze 01007004631

Digitally signed by Levan Talakhadze
Date: 2022.06.24 10:53:11